



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ჯაში

წევრები:

ნატო კვეტენაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

შორენა გაგუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მირანდა თურმანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

სოფიო მაგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნანა ჩილინგარაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

მარინე ჩახვაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ციცინო გოზაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

შორენა ნიკოლეიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწესებულების საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	241557846

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ყვარლის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი მთისძირი, 1-ლი ქუჩა, N98
საფოსტო ინდექსი	4009
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1323?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khvMtisdziri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(+995) 577 982 423

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 3 ივნისის MES 3 24 0000609629 ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
--	--



	ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27 და 28 ივნისი, 2024წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი, 1-ლი ქუჩა, N98, ერთი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი, 1-ლი ქუჩა, N98, ერთი შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი, 1-ლი ქუჩა, N98, ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების MES 3 24 0000609629, 03.06.2024წ. საფუძველზე, მიმდინარე წლის 27 და 28 ივნისს, განხორციელდა ვიზიტი სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

აღსანიშნავია, რომ წარმოების ფარგლებში საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა ინტერვიუების, შესყიდვების დოკუმენტაციის, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნათ ექსპერტებს.

როგორც დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რევიზირების საფუძველზე საფუირკვევა, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუების პროცესი და იმოქმედეს შეთანხმებულად. მის მიერ გაცემული რჩევები აისახა საგნობრივი ექსპერტების ჩანაწერებში. კერძოდ,

- სახელმწიფო ენა - სასურველია, კურიკულუმში, ელექტრონულ რესურსებთან ერთად აისახოს კონკრეტული მატერიალური რესურსები, გრაფიკული მაორგანიზებლები.
- მე და საზოგადოება - სასურველია, მე-4 კლასის კურიკულუმში, თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნება აისახოს, რესურსებით შეივსოს კურიკულუმები და პედაგოგებმა აწარმოონ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით.
- სასურველია, ოთხივე საგნობრივი მიმართულებით, დაწესებულებამ აწარმოოს კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების შევსებული რუბრიკები სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით და კურიკულუმები შეძლებისდაგვარად შეავსონ რესურსებით.

აღნიშნულის გათვალისწინება სკოლას საშუალებას მისცემს, უზრუნველყოს საფეხურებრივი შედეგების მიღწევა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თანამშრომლობითი ორგანიზაციული კულტურა სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში პოზიტიური, ურთიერთპატივისცემაზე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს საწინდარია - იგი შექმნილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ, სკოლის დირექტორის ლიდერობით და პირადი მაგალითით.

სკოლის პრიორიტეტების რიცხვშია გარემოზე ზრუნვა და დაწესებულების მიერ განხორციელებული სასკოლო გარემოსდაცვითი პროექტი ამის ნათელი მაგალითია. აქტიურ მონაწილეობას იღებს დაწესებულება სხვადასხვა პროექტებში, კონკურსებში, პროგრამებში და საკმაოდ წარმატებულად. სხვადასხვა სოციალური პროექტები სასკოლო თემის ჩართულობით ხორციელდება და ხელს უწყობს მოსწავლეთა

სოციალურ უნარ-ჩვევების, პიროვნულ თვისებების გამოვლენას და განმტკიცებას, რაც დადებითად აისახება მათ, და ზოგადად, დაწესებულების ინსტიტუციურ განვითარებაზე.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: დაწესებულებამ მოაწიოს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა სსსმ მოსწავლეებისათვის - სკოლის შესასვლელში დამონტაჟდეს პანდუსი, რათა ეტლით მოსარგებლე მოსწავლემ შეძლოს შენობაში გადაადგილება. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (24.03.2024 - 24.03.2026წ.)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგად განათლების ეროვნულ მიზნებს;	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ მოახდინოს სკოლის ფილოსოფიის რევიზირება, რათა სკოლის ხედვამ ასახოს ორგანიზაციის განვითარების ასპექტები 5-15 წლის პერსპექტივით.
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ მოახდინოს შვიდწლიანი გეგმის კორექტირება და ხედვაში ასახული ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივა წარმოადგინოს რევიზირებულ სტრატეგიულ დოკუმენტში.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: მიზანშეწონილია, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება დაწესებულებაში.



	საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და 10 სამუშაო დღის ვადაში მისი ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია წარუდგინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. საფუძველი: საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, N3144-XIმს-Xმპ, 14.06.2023 (33-ე მუხლი)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი – დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენა: სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები მიემართებოდეს საფეხურის ყველა სამიზნე



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ცნებაზე, ასევე დაკონკრეტდეს შუალედურ მიზნად განსაზღვრული შემოქმედებითი ბუნების პროდუქტი ინგლისური ენის III-V კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წლის განმავლობაში გეგმავენ სხვადასხვა პროექტების, კომპლექსური თუ კვლევითი ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც სასურველია აისახოს კურიკულუმში. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, რომ კომპლექსური დავალებაში წარმოჩენილი იყოს რესურსები სახელმძღვანელოს გარდა და სასწავლო წლის განმავლობაში ერთის ნაცვლად ორი კომპლექსური დავალება განხორციელდეს. სპორტი: სასურველი იქნება, შედგენილ კურიკულუმებში, მასწავლებელმა შეავსოს, შეუვსებლად დატოვებული დავალების იდეის გრაფა (რათა უკეთ ჩანდეს შემოქმედებითი პროდუქტი). სახელმწიფო ენა: სასურველია, IV კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებებისა და სტანდარტის გათვალისწინებით სწორად გაჩერონ და შესაბამის სვეტში ასახონ კომპლექსური დავალების იდეები.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სახელმწიფო ენა: რჩევა: სასურველია, ელექტრონულ რესურსებთან (მაგ: ena.ge, ganmarteba.ge, kargiskola.ge) ერთად კურიკულუმებში ასახონ შესაბამისი მატერიალური რესურსები, რომლებსაც ნამდვილად იყენებენ. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია სხვა ტიპის რესურსიც დაემატოს. თუნდაც „ტელე სკოლა“



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ტექნოლოგიები: შეიმუშაონ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია შეფასების რუბრიკების შექმნისას იხელმძღვანელონ ბუნებისმეტყველების სტანდარტით განსაზღვრული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) შეფასება სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სპორტი: სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს და შეიმუშაონ ისე, რომ ისინი სრულყოფილად პასუხობდეს ე.ს.გ. მოთხოვნებს დაწყებითი საფეხურზე და ითვალისწინებდეს თითოეულ სამიზნე ცნებას კურიკულუმით გათვალისწინებული თემის შესაბამისად. სახელმწიფო ენა: სასურველია, აწარმოონ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების შევსებული რუბრიკები (სამიზნე ცნებებსა და ინდიკატორის შედეგებზე დაყრდნობით) და კურიკულუმები შეძლებისდაგვარად შეავსონ რესურსებით
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურს გამოიყენება სასწავლო პროცესში;	უცხოური ენა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს ცალკეულ თემებში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები, მაგალითად, ძირითადი/დამხმარე სახელმძღვანელოდან გვერდები, ინტერნეტ მასალების ბმულები და ა.შ

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
----------------------------	---	---------------------



ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენა: სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები მიემართებოდეს საფეხურის ყველა სამიზნე ცნებაზე, ასევე დაკონკრეტდეს შუალედურ მიზნად განსაზღვრული შემოქმედებითი ბუნების პროდუქტი ინგლისური ენის VIII-IX კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში.
ინდიკატორი 2.1.2.1.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სახელმწიფო ენა: კარგი იქნება თუ კურიკულუმში შეიტანენ ისეთ შემოქმედებით პროდუქტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნაწარმოების სიღრმისეულ ანალიზს, მაგალითად: • წერილი ავტორს, პერსონაჟს; • ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; • წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წლის განმავლობაში გეგმავენ სხვადასხვა პროექტების, კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას (თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდება ერთი კომპლექსური დავალება), რაც სასურველია აისახოს კურიკულუმში. სპორტი: სასურველი იქნება, შედგენილ კურიკულუმებში, მასწავლებელმა შეავსოს, შეუვსებლად დატოვებული დავალების იდეის გრაფა (რათა უკეთ ჩანდეს შემოქმედებითი პროდუქტი).
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდეს ერთზე მეტი კომპლექსური დავალება, რაც უფრო მეტად გააუმჯობესებს სწავლის შედეგებს.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას;	სახელმწიფო ენა: კარგი იქნება მასწავლებლები კურიკულუმებში თუ შეიტანენ ისეთ რესურსებს, როგორებიც ხელს შეუწყობს ტექსტის გაგება-გააზრების უნარების განვითარებას, მაგალითად: სქემები და დიაგრამები, პერსონაჟის რუკა და ა.შ.



		საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, რომ სახელმძღვანელოს გარდნაჩვენები იყოს მეტი რესურსი, თუნდაც „ტელე სკოლის“ ლინკები
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია შეფასების რუბრიკების შექმნისას იხელმძღვანელონ საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სტანდარტით განსაზღვრული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სპორტი: სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს და შეიმუშაონ ისე, რომ ისინი სრულყოფილად პასუხობდეს ე.ს.გ. მოთხოვნებს საბაზო საფეხურზე და ითვალისწინებდეს თითოეულ სამიზნე ცნებას კურიკულუმით გათვალისწინებული თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	უცხოური ენა: სასურველია, შემაჯამებელი დავალების ანალიზს დაერთოს შეფასებული/შესაფასებელი დავალების ნიმუში/ნიმუშები.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	უცხოური ენა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს ცალკეულ თემებში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები, მაგალითად, ძირითადი/ დამხმარე სახელმძღვანელოდან გვერდები, ინტერნეტ მასალების ბმულები და ა.შ

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	რჩევა
---------------------	--	--------------



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა: კარგი იქნება, თუ პედაგოგები თითოეული თემის გასწვრივ სრულად მიუთითებენ მატერიალურ და ელექტრონულ რესურს, რომელსაც გამოიყენებენ ამ თემის სწავლების დროს, ისევე, როგორც მეათე კლასის კურიკულუმშია მოცემული.
ინდიკატორი 2.1.2.2 ინდიკატორი 2.1.2.1	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენა: სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები მიემართებოდეს საფეხურის ყველა სამიზნე ცნებაზე, ასევე, დაკონკრეტდეს შუალედურ მიზნად განსაზღვრული შემოქმედებითი ბუნების პროდუქტი ინგლისური ენის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია კომპლექსური დავალება ერთზე მეტი იყოს რათა უფრო საინტერესოდ წარმართოს სასწავლო პროცესი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წლის განმავლობაში გეგმავენ სხვადასხვა პროექტების, კომპლექსური ტიპის დავალებების (თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდება ერთი კომპლექსური დავალება) განხორციელებას, რაც სასურველია აისახოს კურიკულუმში. სახელმწიფო ენა: კარგი იქნება თუ კურიკულუმში შეიტანენ ისეთ შემოქმედებით პროდუქტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნაწარმოების სიღრმისეულ ანალიზს, მაგალითად: • წერილი ავტორს, პერსონაჟს; • ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; • წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან. სპორტი: სასურველი იქნება, შედგენილ კურიკულუმებში, მასწავლებელმა შეავსოს, შეუვსებლად დატოვებული დავალების იდეის



		გრაფა (რათა უკეთ ჩანდეს შემოქმედებითი პროდუქტი).
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია შეფასების რუბრიკების შექმნისას იხელმძღვანელონ საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სტანდარტით განსაზღვრული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით , რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი , ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სპორტი: სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს და შეიმუშაონ ისე, რომ ისინი სრულყოფილად პასუხობდეს ე.ს.გ. მოთხოვნებს საშუალო საფეხურზე და ითვალისწინებდეს თითოეულ სამიზნე ცნებას კურიკულუმით გათვალისწინებული თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	უცხოური ენა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს ცალკეულ თემებში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები, მაგალითად, ძირითადი/დამხმარე სახელმძღვანელოდან გვერდები, ინტერნეტ მასალების ბმულები და ა.შ სახელმწიფო ენა: კარგი იქნება, რომ მასწავლებლებმა წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების გარდა გამოიყენონ ის გვერდები, რომელშიც თვითონ შეძლებენ რესურსის შექმნას და გამოყენებას, მაგალითად: /learningapps.org.



		<i>საზოგადოებრივი მეცნიერებები: კარგი იქნებოდა სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნება.</i>
--	--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის არსებული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №84, 18.10.2004წ.). დაწესებულება ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავს სკოლის ფილოსოფიის რევიზირებას, რაც განპირობებულია „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის N4261-XIVმს-Xმპ, 12/06/2024 ახალი დადგენილებით. ექსპერტებმა განიხილეს არსებული მისია და ხედვა და გარკვეული რეკომენდაციები მიაწოდეს სკოლას ხედვის ფორმულირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაწესებულების ხედვა არ განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს და მასში არ არის ასახული, თუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. ექსპერტებმა დაწესებულებას მიმართეს რჩევით: მოახდინონ სკოლის ფილოსოფიის რევიზირება, რათა დაწესებულების ხედვამ ასახოს ორგანიზაციის განვითარების ასპექტები 5-15 წლის პერსპექტივით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.



2. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა გარკვეული რეკომენდაციებით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას სკოლის მოქმედ ხედვასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება არსებული მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციოკულტურულ სივრცის ფორმირებაში. სკოლის მისიაში აქცენტირებულია ის ძირითადი მიზნები, რომლისთვისაც შეიქმნა დაწესებულება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას გააზრებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა. დაწესებულებას სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-37, 01/09/2023წ. შექმნილი ჰყავს სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი - სკოლის ფილოსოფიის შედგენის პროცესები, სწორედ ამ ბრძანების საფუძველზე წარიმართა. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს კითხვარები, რომლებიც სასკოლო საზოგადოების მიერ იყო შევსებული (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი), ასევე, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, სადაც გამოკვეთილია ის ნაბიჯები, რომლებიც წარმოაჩენს სკოლის ფილოსოფიის შედგენაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულების ფილოსოფია გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, როგორც აღინიშნა, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები მონაწილეობდნენ სკოლის ფილოსოფიის შედგენის პროცესში და შესაბამისად, მათი თანამონაწილეობა ადასტურებს გაზიარების პროცედურებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფიის ნაწილში - დოკუმენტი საჯაროა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, სადაც სკოლის ფილოსოფიის გაცნობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. სკოლის შესასვლელში სკოლის ფილოსოფია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა,,**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ბრძანება N 2-37, 01/09/2023წ. სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების მიერ შევსებული კითხვარები;
- სკოლის ვებ. გვერდი;
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ჯგუფის ოქმი N1.
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ჯგუფის ოქმიN2.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

- სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
- სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ (სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-72, 20.12.2023წ.), რომელიც აღწერს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების და შეფასების ზოგად მიდგომებს, მოთხოვნებს და სამუშაო პროცესს. სტრატეგიული გეგმის ფორმირებას წინ უძღოდა SWOT ანალიზი, რომელიც შემუშავებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და გამოკითხვის შედეგები აისახა სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტებში. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ შესაბამის კითხვარებს, შეხვედრის ოქმებს, გაესაუბრნენ სასკოლო საზოგადოებას და დარწმუნდნენ, რომ პროცესები მეთოდოლოგიის შესაბამისად წარიმართა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო 2023 წლის 23 ოქტომბრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N14. სტრატეგიული გეგმის მიზნებსა და სკოლის მისიას შორის კორელაცია იკვეთება, თუმცა, ვინაიდან სკოლის ხედვა ექვემდებარება რევიზირებას, შესაბამისად, **მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ მოახდინოს შვიდწლიანი გეგმის კორექტირება და ხედვაში ასახული ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივა წარმოადგინოს რევიზირებულ სტრატეგიულ დოკუმენტში (რჩევა).** ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. როგორც გაირკვა, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან და დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილი აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი

პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2023 წლის 23 ოქტომბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N14.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ (სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-72, 20.12.2023წ.), რომლის მე-7 მუხლი ასახავს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების ფაზას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. ვინაიდან, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება სასწავლო წლის ბოლოს (ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა სასწავლო წლის დასრულებისთანავე და რეალურად, დაწესებულებას არ ჰქონდა პროცესი

სრულყოფილად შეფასებული), ასევე, სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება 3 წელიწადში ერთხელ, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას განიხილონ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. ვინაიდან, სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.3. კერძოდ, საჯაროა თუ არა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

4. ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.4, ვინაიდან, სკოლა პირველად ავტორიზაციას ექვემდებარება და შესაბამისად, მას ვერ ექნება სტრატეგიული გეგმისა და გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენებული სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობები და რაოდენობა. სკოლის სტრუქტურა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N-2-72, 20.12.2023წ. სკოლის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან საქართველოს შრომითი კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები (N-2-72, 20.12.2023წ.), სადაც გაწერილია თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. ფუნქცია-მოვალეობების სწორი და ზუსტი განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას. სკოლის მოქმედი სტრუქტურული ერთეულები ხელს უწყობენ სწავლა-სწავლების პროცესის კანონით დადგენილი წესით წარმართვას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ საკუთარ ფუნქციებს და ჯეროვნად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი;
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის სტრუქტურა (დირექტორის ბრძანება N-2-72, 20.12.2023წ);

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები (N-2-72, 20.12.2023წ.);
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც განხილულ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (N14, 23.10.2023წ.). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია სკოლაში შესაბამისი პროცედურების და პოლიტიკის დანერგვა, რაც დადებითად აისახება როგორც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე, სკოლის ორგანიზაციულ განვითარებაზე. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან ერთად, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში დასაქმებული

პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობებს, სკოლას შედგენილი აქვს და დირექტორის N-2-72, 20.12.2023წ, ბრძანებით (დანართი N16) დამტკიცებული აქვს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს დაწესებულებაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესაბამისად, პერსონალის შერჩევის დროს პროცესები ორგანიზებული და გამჭვირვალეა. სკოლის მასწავლებლების შერჩევისას დაწესებულება ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული“ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მიხედვით. ხოლო, სხვა თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო მასალა და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, შეისწავლეს პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია სულ 21 მასწავლებელი, მათგან 18 უფროსი, ხოლო 2 - წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონეა. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი პირადი საქმეების, ასევე, დაწესებულების მიერ შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განხილვის საფუძველზე, დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ის, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვა დამყარებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე, დასტურდება სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმების, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე. სკოლაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები განიხილავენ სკოლის მართვასთან და შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებულ საკითხებს. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. როგორც გაირკვა, წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, სკოლის დირექციის მხრიდან ხორციელდება, რაც გამოიხატება მადლობის გამოცხადებით, ფულადი ჯილდოთი და მხარდაჭერით სხვადასხვა პროექტების, თუ აქტივობების განხორციელებისას. პედაგოგებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათი მხარდაჭერა აისახება მათ მოტივაციაზე, მუშაობის ხარისხზე და დადებითი გავლენა ახდენს მათ საქმიანობაზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N14, 23.10.2023წ.);
- თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N-2-72, 20.12.2023წ.);
- პორტირებული მონაცემები Eschool -ის ბაზიდან;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შესარჩევი კონკურსების დოკუმენტაცია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და შემუშავებულია დებულება (დირექტორის ბრძანება N2-42, 15.09.2020წ. და ცვლილების დოკუმენტი - ბრძანება N2-73, 20.12.2023წ.). ჯგუფის შექმნის მიზანია, სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. რაც შეეხება სკოლის დანარჩენ პერსონალს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმები და შესაბამისი ინტერვენციები. თანამშრომელთა პირადი საქმეების დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება დაწესებულების პრიორიტეტთა რიცხვშია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულება გეგმავს პერსონალის გამოვლენილი პროფესიული საჭიროებების საფუძველზე გეგმის შემუშავებას სასწავლო წლის შედეგების შეფასების საფუძველზე ახალი სასწავლო წლისთვის. ამ ეტაპზე, **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას. სკოლის შიდა ბაზაზე ხორციელდება გამოცდილების და ცოდნის გაზიარება, რაც ხელს უწყობს პედაგოგებს განავითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები, აიმაღლონ სტატუსი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს თანამშრომელთა ორგანიზაციაში შემოსვლის მექანიზმებს, რომელიც გულისხმობს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაცია ახალ თანამშრომლებს აცნობს სამუშაო გარემოს, მოქმედ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას და სხვა, საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



5. სკოლის შინაგანაწესი (მე - 10 თავი), არეგულირებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რაც თანამშრომელთა წახალისების საფუძველი შეიძლება გახდეს. სკოლის დირექციასთან საუბრისას გაირკვა, რომ თანამშრომელთა წახალისება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა. აღნიშნული დადასტურდა სკოლაში დასაქმებულ პირებთან ინტერვიუების პროცესშიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შრომის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, ქმნის დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს. დოკუმენტის მიზანია, სწავლების ხარისხის განვითარებისათვის ხელშეწყობა. სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობა ხორციელდება დემინგის ციკლის შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან საუბრისას, ასევე, დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, პედაგოგიური საბჭო) მუშაობის ამსახველი მტკიცებულებების განხილვისას გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული პროცესები სკოლაში რეალურად მიმდინარეობს და დადებითად აისახება სკოლის განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულება იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესებიდან ერთ-ერთი დაწესებულების მხრიდან სწავლა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაა. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ შედგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ასევე, მონიტორინგი და შეფასება, ასევე, წარმატებით ხორციელდება სკოლაში. დამხმარე პროცესები - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო მომსახურება, საქმისწარმოება და ა.შ. - შეუფერხებლად მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით, გასაჩივრების დეტალური პროცედურები“(ბრძანება N2-72 20.12.2023წ.), რომლებიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. კერძოდ, ინფორმაცია საჩივრების პროცედურების შესახებ გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე, დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საკუთარი უფლებების შესახებ. ერთის მხრივ, ეს ასახულია შესაბამის ხელშეკრულებებში (სკოლის თანამშრომლებთან და მშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები), ასევე, სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც ამის ნათელი მაგალითია. სკოლის თანამშრომლებს უფლება აქვთ მიმართონ დისციპლინურ კომიტეტს, თუ თვლიან, რომ მათი უფლებები ირღვევა. ვიზიტის დროს ექსპერტები დაინტერესდნენ დისციპლინური წარმოების სტატისტიკური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ. როგორც გაირკვა, ბოლო წლების განმავლობაში არცერთი დისციპლინური წარმოება არ განხორციელებულა. ექსპერტების კითხვაზე, რით იყო აღნიშნული განპირობებული, სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიზეზია დაწესებულებაში არსებული ორგანიზაციული კულტურა და სკოლის მიერ დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები (ბრძანება N2-72 20.12.2023წ.);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა



1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას. კერძოდ, მშობლები, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ - დაწესებულება უზრუნველყოფს მათთვის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიწოდებას. კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული კომუნიკაციის პროცესში. გარდა ამისა, სკოლის ვერ. გვერდი (პორტალი), სოციალური ქსელი, ელექტრონული ჟურნალი და კომუნიკაციის სხვა საშუალებები უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. მიღებულ უკუკავშირზე იგეგმება ინტერვენციები - აღნიშნულ პროცესში აქტიურად მონაწილეობს სკოლის დირექცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. თითოეულის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მიზნობრივი და კანონმდებლობით განსაზღვრულია. სკოლის სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებთან ერთად მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან წარმოდგენილები. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც ასევე მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. უსაფრთხოების ნაწილში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით დაწესებულებაში განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეოსათვალითვალო სისტემით. სკოლაში დასაქმებული არიან დარაჯები, უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დაცვას. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, დასაქმებულია ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირველად დახმარებას. დაწესებულებაში 2024 წლის 6 მარტის სკოლის დირექტორის №2-13 ბრძანებით შეიქმნა საგანგებო შტაბი და დამტკიცდა საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MIA 6 24 00988488, 02.04.2024წ.). ვიზიტის მიმდინარეობისას, დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს კორესპონდენციას NMIA 9 24 01719343, 10.06.2024წ., საიდანაც ირკვევა, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის, სოფელ მთისძირში, მდებარე სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის (ს/ნ 2415 57846) შენობა-ნაგებობა შემოწმდა სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. შესაბამისობის აქტში (№ 237) დეტალურად არის გაწერილი ის ნაბიჯები, რაც დაწესებულებამ უნდა გადადგას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ვიზიტი დროს, ასევე, წარმოდგენილი იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N0042128424, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არსებული მდგომარეობით სკოლის შენობა არ არის საფრთხის შემცველი. სკოლის მიერ წარმოდგენილ თანამშრომელთა ხელშეკრულებებში არ იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება. **რჩევა: მიზანშეწონილია, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება დაწესებულებაში. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, დასაქმებულია ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირველად დახმარებას. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს განსაზღვრული ექთანი - ვინაიდან, ვერ განხორციელდა ექიმის დასაქმება საკადრო დეფიციტის გამო. სკოლის ექიმის კაბინეტი სათანადოდ აღჭურვილია. ექთნის მიერ

წარმოებული დოკუმენტაცია და ვალდებულებები, კანონმდებლობის შესაბამისია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი. შესვენებებზე შენობაში მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულება ზრუნავს არა მარტო ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, არამედ სასკოლო საზოგადოების ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზეც. დამრიგებლები და სკოლის დირექცია ცდილობენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია მანდატურის სამსახურის ფსიქო სოციალური მომსახურების ცენტრის სერვისების შესახებ, მათი საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში ყველა დაინტერესებული პირისთვის. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის ისეთი პრევენციული ხასიათის აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც მოსწავლეთა მიმართ ძალადობას, ჩაგვრას, უფლებათა დაცვას ეხმიანება. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის დირექტორის 2024 წლის 7 მარტის N 1/კ-10 ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარული კვანძების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ექთნის ფუნქცია - მოვალეობებიც მოიცავენ სანიტარულ ჰიგიენური ნორმების მონიტორინგს. სკოლაში დასაქმებულია ორი ტექნიკური პერსონალი (დამლაგებელი), რომლებიც უზრუნველყოფენ შენობის დასუფთავებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლის დირექტორის ბრძანებით N1კ-12, 15/03/2024წ. დამტკიცდა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო N 2-15, 15.03.2024წ. ბრძანებით სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. თუმცა, დაწესებულებას არ ჰყავს განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (საფუძველი: საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ,, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023წ., მუხლი 33). სკოლას მიეცა **რჩევა: განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და 10 სამუშაო დღის ვადაში მისი ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია წარუდგინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.“ სსიპ - განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემა ელექტრონულ პლატფორმაზე (Eschool) უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არავტორიზებული წვდომისგან. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად..“ და ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლა რეესტრის ამონაწერის მიხედვით განთავსებულია 17132 კვ.მ - ის ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. იგი 3 (სამი) სართულიანია. სკოლის შენობის გარდა, ეზოში განთავსებულია საქვაბე და სველ წერტილი. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით. სკოლის ეზოში გარე სპორტული მოედანია, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლის ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება - მერხებით, სკამებით, სასწავლო დაფებით აღჭურვილი საკლასო ოთახები სკოლის სამივე სართულზეა განთავსებული. სკოლაში შენობაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის დამოუკიდებელ კაბინეტებში), ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, რესურსოთახი. სკოლის შიდა სპორტული მოედანი სკოლის პირველ სართულზეა განთავსებული ასევე, სველი წერტილებიც პირველ სართულზეა. დაწესებულებაში 2024-2025 სასწავლო წელს ცენტრალური გათბობა უზრუნველყოფილი იქნება გაზიფიცირების საფუძველზე. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი, სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილის რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის შენობის სამივე სართულზე ფართო და ნათელი საერთო მოხმარების სივრცეებია. კერძოდ, პირველი სართულის ფოიე, მეორე და მესამე სართულების მოსასვენებელი სივრცეები მოსწავლეთა დასვენების, ერთმანეთთან კომუნიკაციის და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების ადგილია. პირველ სართულზე განთავსებულია პუფები, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ დასვენებებზე და თავისუფალ დროს. სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და პედაგოგებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, რათა მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურად ხელმისაწვდომობა და გამოყენება. ბიბლიოთეკაში 2033 სახელმძღვანელო და 1278 მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. საბიბლიოთეკო ფონდი დამუშავებულია კანონით დადგენილი წესით. ბიბლიოთეკასთან არსებული სამკითხველო დარბაზი აქტიურად გამოიყენებს სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დადასტურდა მათთან ინტერვიუების საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შესასვლელში არ არის პანდუსი და ეტლით მოსარგებლე მოსწავლე ვერ შეძლებს სკოლის შენობაში მოხვედრას. დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აქვს რესურსოთახი, სადაც მუშაობენ სპეციალური პედაგოგი და ფსიქოლოგი. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და ფსიქოლოგს და დეტალურად გაეცნენ მათ საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ სკოლამ შეძლებისდაგვარად გარკვეული კაბინეტები განათავსა პირველ სართულზე, რათა შეუფერხებლად მოხდეს სსსმ მოსწავლეების გადაადგილება. სპორტული დარბაზიც პირველ სართულზეა განთავსებული. სკოლის დირექციამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. ვიზიტამდე დაწესებულებას უკვე წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა **3.5.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 24.03.2024 - 24.03.2026წ. პერიოდი, ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის პანდუსის დამონტაჟება.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას - დაწესებულება პოზიტიური გარემოთი, სივრცეებით და კაბინეტებით, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საქმიანობებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას. სკოლის მოწესრიგებული გარე პერიმეტრი - ეზო და გამწვანებული გარემო, ხშირად არის სხვადასხვა ღონისძიებებია, აქტივობების და პროექტების განხორციელების ადგილი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორს დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლის სარგებლობაში იყო 8 (რვა) გამართული კომპიუტერი, 7 პროექტორი, რომლითაც დაწესებულება ახორციელებდა სასწავლო პროცესის წარმართვას. გარდა ამისა, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის განკუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის საბეჭდი მოწყობილობები (სულ, 6 ცალი). თუმცა, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა პორტაბელური კომპიუტერების მიღების



დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი დათარიღებული 02.05.2024წ., საიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულებას სსიპ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხრიდან გადაეცა 25 ცალი კომპიუტერი და ვიზიტის დროს კომპიუტერები განთავსებული იყო კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ხელმისაწვდომი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

- დაწესებულების საგაკვეთილო ცხრილი შედგენილია იმგვარად, რომ კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და სკოლის თანამშრომლებისათვის სასწავლო დღის განმავლობაში. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს ციფრული ტრანსფორმაციის ასპექტები, დამტკიცებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, მონაცემთა შეგროვება და დამუშავება, ელექტრონული რესურსების შექმნა, გამოყენება, უზრუნველყოფილია სკოლის საინფორმაციო მენეჯერის ჩართულობითა და ხელშეწყობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- მიღება-ჩაბარების აქტი კომპიუტერული ტექნიკის გადმოცემის თაობაზე;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

- სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
- სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
- სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-72, 20.12.2023წ. (დანართი N8) და ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის, ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. დაწესებულებაში კანონით დადგენილი წესით იწარმოება სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას დაათვალიერეს. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საშუალებით, პროგრამის „eflow“-ის მეშვეობით. დაწესებულება აქტიურად იყენებს Microsoft Teams – ის ელექტრონულ პლატფორმას შეხვედრების ორგანიზებისთვის, დოკუმენტაციის/მასალის გაზიარებისთვის. სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: khvMtisdziri@mes.gov.ge – კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: <https://skolebi.emis.ge/>. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. მითითებულია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, არჩეული აქვთ სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
4. სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშების წარდგენას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიში წარედგინება პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ მინისტრს. სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია (სკოლის ბალანსი) ასევე, კანონით დადგენილ ვადებში და წესით, წარედგინება საგანმანათლებლო რესურსცენტრს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (დირექტორის ბრძანება N2-72, 20.12.2023წ.);
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან;
- სკოლის ვებ. გვერდი;

- დაწესებულების ანგარიშგების დოკუმენტაცია.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას აქვს ვებ. გვერდი: <https://skolebi.emis.ge/> და მასზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას. სკოლას აქვს შესაბამისი გვერდი სოციალურ ქსელშიც. სკოლაში შესასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სიახლეებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ, სკოლის მიერ დამტკიცებული და ოფიციალური სტატუსის მქონე დოკუმენტების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის ხორციელდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. კომუნიკაციის საფუძველზე, სოციალური ქსელში ან ელექტრონულ ფოსტით მიღებული უკუკავშირი სკოლისათვის საქმიანობის გაუმჯობესების, ინტერვენციების განხორციელების საფუძველია. სკოლას შედგენილი აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-72 20.12.2023წ.), რომელიც არეგულირებს მშობელსა და სკოლას შორის არსებული ურთიერთობების ძირითად ასპექტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, ელექტრონულ პლატფორმაზე: <https://skolebi.emis.ge/> და მასზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ვებ. გვერდი/ვებ. გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ იყო წარმოდგენილი ვინაიდან, სასწავლო წელი ახალი დასრულებული იყო და სამოქმედო გეგმის ანგარიში შედგენის პროცესში იყო. ასევე, 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონაცემები ვერ ექნებოდა დაწესებულებას, ვინაიდან გეგმის განხორციელების ვადა 2023-2030 წლებია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- სკოლის ვებ. გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1323?schoolName>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სკოლის ბიუჯეტით, რომლის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაწესებულების სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, სავარაუდო ხარჯები, ასევე, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. ბიუჯეტის და შესყიდვების გეგმის დამტკიცება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით და ვადებში. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის, 2023 წლის ფინანსური ანგარიში. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს სკოლის დირექტორი, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის ბუღალტერი. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის, მათ შორის მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ასპექტები, გაწეული ხარჯებისა და შედეგების შესახებ ანგარიში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლის ბიუჯეტი;
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლის ფინანსური ანგარიში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი აქვს შრომის შინაგანაწესი. მისი დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. შინაგანაწესში წარმოდგენილია ის წესები და პირობები (გასაჩივრების უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და ა.შ.), რომელთა გათვალისწინებით ხდება სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვა და რომელთა დარღვევის შემთხვევაში, სკოლის დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც მოიცავს სკოლის ვალდებულებებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიმართულებით. შიდა ბრძანებით სკოლას ჰყავს განსაზღვრული რეგულირების პროცედურის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, ასევე, შედგენილი აქვს ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესი, რომელიც არეგულირებს ძალადობის შემთხვევაში ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია ან კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლის მშობლებს დოკუმენტებს, როგორებიც არის შინაგანაწესი, სასკოლო-სასწავლო გეგმა და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტაცია განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე, ასევე, გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რათა გახადოს ის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ შედგენილი ხელშეკრულების ნიმუში, გაფორმებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე ვალდებულებები. ხელშეკრულების მე -4 მუხლი არეგულირებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების ასპექტებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომის შინაგანაწესი;
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- რეგულირების წესი და მექანიზმი;

- ბრძანება სკოლის რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლა სკოლის გასაჩივრების პროცედურები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-72, 20.12.2023წ. დამტკიცებულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურა, მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა (გარდა პირველი კლასისა) და სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის მექანიზმები, მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენასთან დაკავშირებული რეგულაციები, სტატუსის აღდგენის, საფეხურის დაძლევის წესები. ზემოაღნიშნული ბრძანება შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზე ხორციელდებოდა მოსწავლის ჩარიცხვა და საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ

კანონმდებლობას და სკოლის მიერ დადგენილ რეგულაციებს შორის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, რომელიც განთავსებულია პორტალზე <https://skolebi.emis.ge/>, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ. მათ შორის არის, შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას 2023-2024 სასწავლო წელს მოსწავლეებისათვის არ შეუთავაზებია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურება, შესაბამისად, ვებ. გვერდზე არ არის გაზიარებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებ. გვერდის და სოციალური ქსელის საშუალებით. ასევე, სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-72, 20.12.2023წ. დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-72, 20.12.2023წ. (დანართი N11) დამტკიცებულია მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მასწავლებლებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში, დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და საზოგადოებასთან. დაწესებულებაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში, ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებული, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ამასთანავე,

მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება კონკურსის წესით ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. სწორედ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სკოლაში დასაქმდა ფსიქოლოგი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-72, 20.12.2023წ. (დანართი N12) დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერი მექანიზმი. დოკუმენტის თანახმად, მოსწავლეს ან/და მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას/კლასის დამრიგებელს/დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში. ვიზიტის დროს ექსპერტებმა სკოლის დირექციისგან მოისმინეს კონკრეტული მაგალითები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მოსწავლეთა გარკვეული ინიციატივები მხარდაჭერილია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლე და მისი მშობელი ინფორმირებული არიან სკოლაში ჩარიცხვის, მობილობის, სემესტრული თუ საშემოდგომო გამოცდების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებით, არაფორმალური აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობას, მათი ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლა მუდმივად აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებების, პროექტებისა და ოლიმპიადების შესახებ. არაფორმალური განათლება ისეთივე მნიშვნელოვანია სკოლის ცხოვრებაში, როგორც სწავლების ფორმალური ნაწილი სკოლაში ფუნქციონერებს ეკოკლუბი „დედამიწის მეგობრები“, სამოქალაქო განათლების კლუბი და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. დაწესებულება მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე, აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურების ხარისხს. სკოლის მიერ ჩატარებული კვლევები და მიღებული უკუკავშირი, ამის ნათელი მაგალითია. უკუკავშირის საფუძველზე, დაგეგმილია ინტერვენციები, რომლებიც პროცესების განვითარებაზე დადებითად აისახება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-72, 20.12.2023წ. (დანართი N11) დამტკიცებული მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;

- სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-72, 20.12.2023წ. (დანართი N12) დამტკიცებული სკოლაში მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირის საჯარო სკოლას კაჭრეთის კოლეჯ „აისტან“ გაფორმებული აქვს მემორანდუმი და აქტიურად თანამშრომლობს მათთან პროფორიენტაციის მიმართულებით. მემორანდუმის მიზნების და ამოცანათა შორის არის მხარეთა შორის პარტნიორული თანამშრომლობის გზით ექსკურსიების დაგეგმვა და სკოლის მოსწავლეებისათვის პროფორიენტაციული ხასიათის შეხვედრების ორგანიზება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობა. გარდა ამისა, სკოლის ხელშეწყობით სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლა აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრები ხელს უწყობს მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებამ ჩაატარა მშობელთა გამოკითხვა, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სასკოლო საზოგადოების აზრი სკოლისთვის მნიშვნელოვანია და განსაზღვრავს მისი ქმედებების შემდგომ ნაბიჯებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კაჭრეთის კოლეჯ „აისთან“ გაფორმებული მემორანდუმი;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და დასაქმებული იყო 1 სპეციალური მასწავლებელი და ერთი ფსიქოლოგი. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლის მიერ შემუშავებულია და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა. სკოლას შედგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, ასევე, ყოველწლიურად ხორციელდება მონიტორინგი, შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო

გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სკოლის ისგ-ს ჯგუფების მიერ. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე ზრუნავენ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, დირექცია, მშობელი.

